„დამტკიცებულია“

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის

პრეზიდიუმის მიერ

01/08/2022 წელი

საქათველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების კანდიდატების ტრანსფერის სპეციალური დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება წარმოადგენს სპეციალურ/დროებით დებულებას;
2. წინამდებარე დებულება ვრცელდება 2022-2023 წლების სპორტული სეზონის პერიოდში განხორციელებულ და/ან განსახორციელებელ ტრანსფერებზე;
3. წინამდებარე დებულების მიზანს წარმოადგენს, გარდამავალ პერიოდში, მსგავსი საკითხების მარეგულირებელი არსებული სხვა დებულებებისაგან დამოუკიდებლად დაარეგულიროს 2022-2023 წლების სპორტული სეზონის პერიოდში განხორციელებული და/ან განსახორციელებელ ტრანსფერები;
4. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, ფიქსირდება, რომ წინამდებარე დებულება არ აუქმებს და ან/ძალადაკარგულად არ აცხადებს მსგავსი საკითხების მარეგულირებელ არსებულ სხვა დებულებებს, წინამდებარე დებულებისა სხვა დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში მოქმედებს მოცემული დებულება;
5. წინამდებარე დებულების ფარგლებში, შესაბამისი საკითხის დარეგულირების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა შესაბამისი დებულების კონკრეტული თავები, მუხლები, პუნქტები და/ან შინაარსი, ამ დებულებით დადგენილი სპეციალური პირობის/პირობების შესავსებად.
6. წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, ახალგაზრდული და/ან ეროვნული ნაკრების კანდიდატად ითვლება 21 წლამდე მოთამაშე, რომელიც ბოლო 2 (ორი) სეზონის განმავლობაში, იყო ეროვნული და/ან ასაკობრივი ნაკრები გუნდის განაცხადში სასწავლო-საწვრთნელი შეკრების და/ან საერთაშორისო თამაშის დროს;

მუხლი 2. საქათველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების კანდიდატების ტრანსფერის მოწესრიგების სპეციალური პირობები

1. ამ დებულების შესაბამისად, სახელბურთო გუნდებს შორის, 2022-2023 წლების სპორტული სეზონის პერიოდში განხორციელებული და/ან განსახორციელებელი ტრანსფერები, მათ შორის, ის ტრანსფერები, რომლებიც უკვე განხორციელდა, დარეგულირდეს წინამდებარე წესის შესაბამისად;
2. საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების კანდიდატების ტრანსფერის მოწესრიგების წესი გულისხმობს შემდეგ პირობებს:
   ა)საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების კანდიდატების ტრანსფერების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია იღებს გადაწყვეტილებას, განახორციელოს მსგავსი კატეგორიის ტრანსფერის ფინანსურ სუბსიდირება;
3. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდში ტრანსფერს ასუბსიდირებს არაუმეტეს 5,000.00 ლარის ოდენობით. საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდი ვალდებულია აღნიშნული 5,000.00 ლარი სამართლიანად და პროპორციულად გადაანაწილოს 2022-2023 წლების სპორტულ სეზონში განხორციელებულ ტრანსფერებზე;
4. წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხით მოხდება ტრანსფერის სუბსიდირება თუ საქართველოს ეროვნული და/ან ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი გადავა საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდში;

შენიშვნა: მიუხედავად ტრანსფერის რაოდენობისა, საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდს, განხორციელებული ტრანსფერები, საერთო ჯამში, დაუსუბსიდირდება - არაუმეტეს 5,000 ლარით;

მუხლი 3. ფინანსური სუბსიდიის გაცემის წესი და პირობები

1. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფინანსური სუბსიდიის გაცემის წინაპირობები:
ა)ნაკრების კანდიდატი, რომლის ტრანსფერის მოწესრიგების მიზნისთვისაც განხორციელდება ფინანსური სუბსიდიის გადახდა, განხორციელებული და/ან განსახორციელებელი ტრანსფერის მომენტში უნდა იყოს არაუმეტეს 21 წლისა. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის ასაკი აღემატება 21 წელს, მსგავსი ტრანსფერი ვერ დასუბსიდირდება. მსგავსი ტიპის ტრანსფერზე წინამდებარე დებულება ვერ გავრცელდება.
ბ)წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფინანსური სუბსიდიის მიღების უფლება აქვს სახელბურთო კლუბს, გუნდს, სკოლას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნაკრების კანდიდატის სწავლებისა და მომზადების პროცესში;
გ)კლუბი/გუნდი, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდის კანდიდატი, სუბსიდიის მიღების შემთხვევაში, სრულად უარს იტყვის ნაკრების კანდიდატისგან, ფედერაცია და/ან სხვა ნებისმიერი მესამე პირისაგან რაიმე სახის განათლების კომპენსაციის მოთხოვნაზე;
შენიშვნა: ანალოგიური წესი ვრცელდება, კანდიდატის მწვრთნელზე;
ბ)ფედერაცია, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სუბსიდიას გასცემს მხოლოდ იმ დათქმითა და პირობით, რომ კლუბი, რომელიც გაასხვისებს ნაკრები გუნდის კანდიდატს, უარს იტყვის განათლების კომპენსაციის მოთხოვნასა და მიღებაზე;
2. ფედერაციის მიერ ფინანსური სუბსიდიის გაცემა განხორციელდება შემდეგი მეთოდით:
ა) საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდი, რომელიც შეიძენს ეროვნული და/ან ასაკობრივი ნაკრები გუნდის კანდიდატს, ფედერაციიდან მიიღებს ფინანსურ სუბსიდიას. ფედერაცია სუბსიდიის ოდენობის გამოთვლისას იხელმძღვანელებს წინამდებარე დებულების დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ)შემძენი გუნდი მიმართავს ფედერაციას და წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტს:
ბ.ა.)მოთხოვნას ტრანსფერის სუბსიდირების თაობაზე;
ბ.ბ.)ტრანსფერის დამადასტურებელი დოკუმენტს;
გ)გამსხვისებელი გუნდი მიმართავს ფედერაციას და წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას/დოკუმენტს:
გ.ა.) ფედერაციაში წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი, რომ იგი უარს აცხადებს სამომავლოდ განათლების კომპენსაციის მიღებასა და მოთხოვნაზე;
გ.ბ.)ფინანსური ანგარიშსწორებისათვის ფედერაციაში წარმოადგინოს საბანკო ანგარიში;
გ.გ.) მოთამაშის აღმზრდელ თითოეულ კლუბს შორის გაფორმებულ შეთანხმებას ტრანსფერის სუბსიდიის სახით გამოყოფილი თანხის განაწილების თაობაზე;
დ) ფედერაცია ვალდებულია:

დ.ა.) წინამდებარე დებულებისა და დანართი N1-ის პირობების შესაბამისად განიხილოს, შეისწავლოს და დაიანგარიშოს სუბსიდიის ოდენობა და დაინტერესებულ პირებთან უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელება.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები:

1. წინამდებარე დებულებას განიხილავს და ამტკიცებს ფედერაციის პრეზიდიუმი;
2. დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე;
3. ისეთი შემთხვევა, რომელიც ორაზროვნად და/ან სათანადოდ არ რეგულირდება წინამდებარე დებულებით, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში გადაწყდება პრეზიდიუმის მიერ;
4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სუბსიდიის გადახდა ხდება კანდიდატისათვის, რომლის ასაკიც არ აღემატება 21 წელს. სუბსიდია მოიცავს სპორტსმენის მოსამზადებელ პერიოდს 12-დან - 21 წლამდე პერიოდისათვის, შემდეგი პროპორციით:

- ✓ 12-13 წლის მოთამაშისათვის - 200 ლარი;
- ✓ 13-14 წლის მოთამაშისათვის - 200 ლარი;
- ✓ 14-15 წლის მოთამაშისათვის - 400 ლარი;
- ✓ 15-16 წლის მოთამაშისათვის - 600 ლარი;
- ✓ 16-17 წლის მოთამაშისათვის - 600 ლარი;
- ✓ 17-18 წლის მოთამაშისათვის - 600 ლარი;
- ✓ 18-19 წლის მოთამაშისათვის - 600 ლარი;
- ✓ 19-20 წლის მოთამაშისათვის - 800 ლარი;
- ✓ 20-21 წლის მოთამაშისათვის - 1000 ლარი;

შენიშვნა N1: იმ შემთხვევაში თუ, საქართველოს უმაღლესი რანგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდში განხორციელებული კონკრეტული ტრანსფერის ღირებულება ნაკლები იქნება წინამდებარე დანართი N1-ით გათვალისწინებულ ოდენობაზე, ასეთ შემთხვევაში, ტრანსფერის სუბსიდირების გამოთვლა განხორციელდება ტრანსფერის შეთანხმებული ღირებულებიდან, ამასთანავე, თითოეული აღმზრდელი კლუბი თანახმა უნდა იყოს შემცირებული კომპენსაციის მიღებაზე;